



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

**ლომბარდების გამოკვლევის
ძირითადი შედეგები**

2020



29.03.2021

www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

29.03.2021

ლომბარდების სტატისტიკური გამოკვლევის ძირითადი შედეგები

(2020 წელი)

გამოკვლევის შედეგების მიხედვით 2020 წლის ბოლოსათვის საქართველოში სალომბარდო საქმიანობით დაკავებული 193 მოქმედი (ფილიალების გარეშე) ორგანიზაცია¹ დაფიქსირდა. აქედან 46.1 პროცენტი ქ. თბილისში მდებარეობს, 14.5 პროცენტი - სამეგრელო-ზემო სვანეთში, 14.0 პროცენტი - იმერეთის რეგიონში, 12.4 პროცენტი - აჭარაში, ხოლო დანარჩენი 13.0 პროცენტი სხვა რეგიონებში ფუნქციონირებენ.

ლომბარდების სალაროში არსებული ნაღდი ფულის მოცულობამ 2020 წლის ბოლოსათვის 14.3 მლნ. ლარი შეადგინა. მათ შორის 83.6 პროცენტი გამოსახული იყო ეროვნულ ვალუტაში, ხოლო დანარჩენი 16.4 პროცენტი - უცხოურ ვალუტაში.

ცხრილი №1

ლომბარდების საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები

მაჩვენებლის დასახელება	№	სულ	მათ შორის:	
			ეროვნული ვალუტით	უცხოური ვალუტით
აქტივები (ათასი ლარი)				
ნაღდი ფული	1	14 273.6	11 935.1	2 338.5
ბანკებში არსებული სახსრები	2	14 537.1	7 368.4	7 168.8
მათ შორის:				
რეზიდენტ ბანკებში	3	14 446.2	7 368.4	7 077.8
არარეზიდენტ ბანკებში	4	91.0	0.0	91.0
გაცემული სესხები	5	322 811.2	281 148.1	41 663.1
მათ შორის:				
ფიზიკური პირებზე	6	282 341.7	262 060.7	20 281.0
ფიქსირებული (ძირითადი კაპიტალი) და არამატერიალური აქტივები	7	29 703.2	29 545.5	157.7
სხვა აქტივები	8	22 097.4	15 934.7	6 162.7
ვალდებულებები (ათასი ლარი)				
აღებული სესხები	9	264 828.2	161 083.1	103 745.0
მათ შორის:				
რეზიდენტებიდან	10	212 516.9	161 083.1	51 433.8
არარეზიდენტებიდან	11	52 311.3	0.0	52 311.3

¹ ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

29.03.2021

მაჩვენებლის დასახელება	№	სულ	მათ შორის:	
			ეროვნული ვალუთით	უცხოური ვალუთით
ფასიანი ქაღალდები	12	0.0	0.0	0.0
სხვა ვალდებულებები	13	20 449.5	11 120.3	9 329.1
კაპიტალი (ათასი ლარი)				
საანგარიშო პერიოდის მოგება/ ზარალი	14	18 351.7	18 377.2	-25.5
სხვა კაპიტალი	15	72 664.3	72 664.3	0.0
დამატებითი ინფორმაცია				
მსესხებელთა რაოდენობა	16	306 952	-	-
აქედან:				
ფიზიკური პირები	17	306 883	-	-
სესხის საშუალო წლიური შენონილი საპროცენტო განაკვეთი	18	27.8	27.9	24.3

2020 წლის ბოლოსათვის ლომბარდებს ბანკებში განთავსებული ჰქონდათ 14.5 მლნ. ლარის ფულადი სახსრები, მათ შორის 50.7 პროცენტი - ეროვნულ, ხოლო 49.3 პროცენტი - უცხოურ ვალუტაში.

აღსანიშნავია, რომ ბანკებში განთავსებული თანხის მთლიანი მოცულობის 99.4 პროცენტი რეზიდენტ ბანკებზე მოდის.

2020 წლის განმავლობაში გაცემული სესხების მოცულობამ 322.8 მლნ. ლარი შეადგინა (მათ შორის 87.1 პროცენტი - ეროვნულ, ხოლო 12.9 პროცენტი - უცხოურ ვალუტაში). გაცემული სესხების 87.5 პროცენტი ფიზიკურ, ხოლო დარჩენილი 12.5 პროცენტი - იურიდიულ პირებზე მოდის.

ლომბარდების საკუთრებაში არსებული ფიქსირებული და არამატერიალური აქტივების მოცულობამ 2020 წლის ბოლოსათვის 29.7 მლნ. ლარი შეადგინა.

2020 წლის ბოლოსათვის ნასესხები ფულადი რესურსების მოცულობამ 264.8 მლნ. ლარი შეადგინა. მათ შორის 60.8 პროცენტი ეროვნულ ვალუტაშია ნასესხები. ამასთან, სესხის 80.2 პროცენტი რეზიდენტებისგანაა აღებული.


ლომბარდების 2020 წლის საბალანსო მოგებამ² 18.4 მლნ. ლარი შეადგინა. აქედან 57.0 პროცენტი ქ. თბილისში მოქმედ ლომბარდებზე მოდის, ხოლო დანარჩენი სხვა რეგიონებზე ნაწილდება:

² გადასახადების გადახდამდე და გაუთვალისწინებელ ხარჯებამდე.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

29.03.2021

საბალანსო მოგების სტრუქტურა რეგიონების მიხედვით, 2020 წელს




საქართველოში მოქმედ ლომბარდებში 2020 წლის განმავლობაში მსესხებელთა (კლიენტთა) რაოდენობა 307.0 ათასიერთეულით განისაზღვრა. აქედან აბსოლუტური უმრავლესობა (დაახლოებით 99.9 პროცენტი) ფიზიკური პირია.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს მსესხებელთა პროცენტულ განაწილებას რეგიონების მიხედვით:

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

29.03.2021

მსახიბებელთა (კლიენტთა) განაწილება რეგიონების მიხედვით, 2020 წელს




სესხის საშუალოწლიურმა შენონილმა საპროცენტო განაკვეთმა 27.8 პროცენტი შეადგინა. საპროცენტო განაკვეთი ეროვნულ ვალუტაში - 27.9 პროცენტს, ხოლო უცხოურ ვალუტაში - 24.3 პროცენტს შეადგენდა.

საშუალოწლიური შენონილი საპროცენტო განაკვეთის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 36.0 პროცენტი - რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონში დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე დაბალი - 22.3 პროცენტი - სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში:

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

29.03.2021

სახსის საშუალოწლიური შენონილი საპროცენტო განაკვეთი რეგიონების მიხედვით, 2020 წელს




რეგიონების მიხედვით გაცემული სესხების ყველაზე მაღალი წილით ხასიათდება ქ. თბილისი (66.3 პროცენტი), აჭარა (22.6 პროცენტი), იმერეთი (4.6 პროცენტი), სამეგრელო-ზემო სვანეთი (4.2 პროცენტი) და ქვემო ქართლი (1.1 პროცენტი).

ანალოგიური ტენდენცია ფიქსირდება რეგიონების მიხედვით აღებული სესხების მთლიან მოცულობაშიც. აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე მაღალი წილით წარმოდგენილია ქ. თბილისში (70.7 პროცენტი), აჭარაში (21.7 პროცენტი), იმერეთში (3.4 პროცენტი), სამეგრელო-ზემო სვანეთში (2.6 პროცენტი) და ქვემო ქართლში (0.8 პროცენტი).

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს რეგიონების მიხედვით (თბილისის გარდა) 2020 წლის განმავლობაში ღომბარდების მიერ გაცემული და აღებული სესხების მოცულობას:

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

29.03.2021



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

დავით კუპატაძე, ტელ: 2 36 72 10 (200). E-mail: dkupatadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge